

პოლიციელის ჩვენების უტყუარობის პრეზუმფცია

თეონა გუჯეჯიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ცხადაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეონა გუჯეჯიანი

01.07.2020

აბსტრაქტი

საბჭოთა კავშირის გადმონაშთის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის არასრულფასოვნებისა და უზენაესი სასამართლოს მხრიდან მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხის განმარტებამ შექმნა წინამძღვრები ეგრეთწოდებული პოლიციელის ჩვენების უტყუარობის პრეზუმფციის, რის საფუძველზეც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე სასამართლო დავის დროს პოლიციის თანამშრომლის ჩვენება შესაძლოა მოგვევლინოს უპირატეს მდგომარეობაში მოქალაქის ჩვენების პირისპირ.

ადამიანის უფლებების დაცვის პროპორციულად მნიშვნელოვანია სასამართლოში ადმინისტრაციული დავის დროს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილება პოლიციელის ჩვენების ძალას და მოქალაქეთათვის მტკიცების ტვირთს შორის.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს პოლიციელის ჩვენება როგორც უტყუარობის პრეზუმფცია, სასამართლოს პრაქტიკა და სტანდარტები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, ამასთანავე პირის უფლების ფარგლები სამართლიანი სასამართლოს პრინციპის გათვალისწინებით.

საკითხის გამოკვლევის მიზნით ნაშრომი მოიცავს პოლიციის ინსტიტუტის ისტორიულ განვითარებას, ასევე ეროვნული კანონმდებლობის და სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი და საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვას.

კვლევის საფუძველზე ნათელია, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების არარსებობამ და უზენაესი სასამართლოს დადგენილმა სტანდარტმა, რომ პოლიციელს გააჩნია სპეციალური უნარ-ჩვევები გამოავლინოს სამართალდარღვევა და ამასთანავე ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი დააკისრა სავარაუდო სამართალდამრღვევს, განაპირობა პოლიციელის ჩვენების უტყუარობის პრეზუმფციის

განვითარება, რის გამოც პროცესი არ მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და მოქალაქეებს არ ეძლევათ საშუალება ისარგებლონ სამართლიანი სასამართლოს უფლებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პოლიციელი, ჩვენების უტყუარობის პრეზუმფცია, მტკიცების ტვირთი, სამართლიანი სასამართლო, უპირატესი მტკიცებულებითი ძალა, შეჯიბრებითობის პრინციპი.

Abstract

Definition of the anachronism of the Soviet Union's - incompetence of the Administrative Offenses Code and definition of the issue of distribution of the burden of proof by the Supreme Court redistribution of the burden of proof led to creation of the preconditions the so-called presumption of the veracity of the police officer's testimony, on the basis of which the testimony of a police officer during a court case on administrative offenses might be presented in a favorable situation toward the testimony of a citizen.

Proportionally to the protection of human rights, it is important to distribute the burden of proof between the parties during an administrative dispute in court between the force of the police testimony and the burden of proof for the citizens.

The purpose of this paper is to investigate on the testimony of a police officer as a presumption of veracity, court practice and standards in cases of administrative offenses, as well as the scope of a person's right under the principle of a fair trial.

In order to investigate on the matter, the paper includes the historical development of the police institution, as well as the analysis of the national legislation and the court practice, and the overview of the international standards.

Based on the investigation, it is clear that the lack of the legal norms governing the distribution of the burden of proof between the parties and the established standard of the Supreme Court that the police officer has special skills to detect a violation, and at the same time imposed the burden of proof of the factual circumstances on the alleged offender, led to development of the presumption of veracity of the testimony of the police officer, due to which the trial is not conducted in accordance with the principle of competition and citizens are not allowed to enjoy a fair trial.

Keywords: police officer, presumption of veracity of testimony, burden of proof, fair trial, preferential evidence, principle of competition.